



ზოგიერთი ფაქტი წყლის შესახებ

- ✓ წყალი ორგანიზმის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.
- ✓ წყალი ადამიანის ორგანიზმის 60-70% შეადგენს.
- ✓ წყალი უჯრედის შემადგენლობის 80%-ს შეადგენს.
- ✓ წყალი ადამიანის ორგანიზმში ხელს უწყობს სხვადასხვა ნივთიერებების ხსნად მდგომარეობაში გადაყვანას და მათი მეტაბოლიზმის შედეგად წარმოშობილი ნარჩენი პროდუქტების ორგანიზმიდან გარეთ გამოტანას.
- ✓ ადამიანის ორგანიზმში წყლის 10%-ით შემცირება იწვევს ინტოქსიკაციის მოვლენებს.
- ✓ ადამიანის ორგანიზმში წყლის 20-30%-ით შემცირება იწვევს სიკვდილს.



**წყლით გადაამდები დაავადებები
(ანუ ის დაავადებები,
რომელთა გადაცემა ხდება დაბინძურებული წყლით)**

შიგელოზი

გამომწვევი: გრამ-ნეგატიური ბაქტერია შიგელა, რომელიც იწვევს დიზენტერიას და ახასიათებს კუჭის აშლილობა (ხშირად ლორწოთი და სისხლით), ცხელება, ტკივილი და დეჰიდრატაცია.

სიმპტომები: ტკივილი და დიარეა იწყება ინფიცირებიდან 1-4 დღის შემდეგ. კუჭის მოქმედება ხშირდება. დეჰიდრატაცია განსაკუთრებით საშიშია 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.

დიაგნოზი: კლინიკური ნიშნები და განავლის გამოკვლევა.

მკურნალობა: დაკარგული სითხისა და მარილების აღდგენა. ზოგჯერ საჭირო ხდება ანტიბიოტიკების გამოყენებაც (ტრიმეთოპრიმ-სულფამეტოქსაზოლი, ნორფლოქსაცინი, ციპროფლოქსაცინი ან ფურაზოლიდონი). ანტიდარეული მედიკამენტების (დიფენოქსილატი და ლოპერამიდი) გამოყენება სასურველი არ არის.

სალმონელოზი

გამომწვევი: გრამ-ნეგატიური ბაცილა სალმონელა, რომელიც უხშირესად იწვევს გასტროენტერიტს.

სიმპტომები: პირველი სიმპტომები 12-48 საათის შემდეგ, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მხრივ – გულისრევა, მუცლის ტკივილი, დიარეა, ცხელება, პირღებინება.

მკურნალობა: ორგანიზმის მიერ დაკარგული სითხის აღდგენა. ანტიბიოტიკები არ გამოიყენება (გარდა სუსტი იმუნური სისტემის მქონე პაციენტებისა).

ჯიარდიაზი

გამომწვევი: ერთუჯრედიანი პარაზიტი Giardia lamblia, აზიანებს წვრილ ნაწლავს.

სიმპტომები: ზოგჯერ უსიმპტომოდ მიდის. ტიპური სიმპტომატიკა: მოვლითი ტკივილი მუცელში, მეტეორიზმი, დიარეა. მკურნალობის არარსებობის შემთხვევაში დიარეა შესაძლოა რამდენიმე კვირა გაგრძელდეს.

მკურნალობა: მეტრონიდაზოლი, ბავშვებში კი – ფურაზოლიდონი.

ამებიაზი

გამომწვევი: ერთუჯრედიანი პარაზიტი Entamoeba histolytica, აზიანებს მსხვილ ნაწლავს.

სიმპტომები: ხშირად უსიმპტომოდ. სიმპტომების არსებობის შემთხვევაში – დიარეა, მეტეორიზმი, მოვლითი ტკივილი მუცლის არეში. შესაძლოა აღინიშნებოდეს სისხლიანი განავალი და ცხელება. ზოგჯერ პარაზიტი წამოქმნის ცისტას ღვიძლში. ამ შემთხვევაში სიმპტომები მოიცავს ცხელებას, ოფლიანობას, საერთო სისუსტეს, წონაში კლებას, ტკივილს ღვიძლის მიდამოში.

დიაგნოზი: განავლის ანალიზი.

მკურნალობა: მეტრონიდაზოლი.



ლექტოსპიროზი

Welfare Foundation

გამომწვევი: სპიროქეტა Leptospira.

სიმპტომები: უხშირესად მსუბუქად მიმდინარეობს, თუმცა ზოგ შემთხვევაში შეუძლია მრავალი ორგანოს ერთდროულად დაზიანება. იწვება ცხელებით, თავის ტკივილით, კუნთების ტკივილით, თვალის სიწითლით, გულისრევითა და პირღებინებით. ცხელება იკლებს რამდენიმე დღეში. ამ დროს ორგანიზმის იმუნური რეაქცია ახალ სიმპტომატიკას განაპირობებს და იწვება დაავადების მეორე ფაზა, რომლის დროსაც შესაძლოა განვითარდეს მენინგიტი, სტუპორი და კომაც კი.

დიაგნოზი: ლექტოსპირას აღმოჩენა სისხლის, შარდის ან თავზურგტვინის სითხის კულტურებში, ან სისხლში ანტისხეულების აღმოჩენა.

მკურნალობა: დოქსიციკლინი (პრევენციის მიზნით); სამკურნალოდ გამოიყენება პენიცილინი ან ამპიცილინი.

ვირუსული ბასრომენტარიტი

უხშირესად გვხვდება ბავშვებში. გამომწვევია როტავირუსების ჯგუფის ვირუსები. ახასიათებს ისეთივე მიმდინარეობა, როგორც “საკვებით მოწამვლის” სიმპტომატიკით მიმდინარე სხვა დაავადებებს.

სიმპტომები: პირღებინება, დიარეა, მუცლის ტკივილი, მადის დაქვეითება.

მკურნალობა: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაკარგული სითხის შევსება. ანტიდიარეული მედიკამენტები (ლოპერამიდი) ბავშვებში რეკომენდებული არაა. ვირუსული ენტერიტის შემთხვევაში ანტიბიოტიკები არაეფექტურია.

ჰეპატიტი A

ვირუსი გადაეცემა ფეკალურ-ორალური გზით (მათ შორის დაბინძურებული წყლით).

სიმპტომები: ზოგჯერ უსიმპტომოდ მიმდინარეობს, ხშირად კი იწვევს მწვავე ჰეპატიტის სიმპტომატიკას (მათ შორის სიყვითლეს). ხდება სრული გამოჯანმრთელება და ვირუსის მტარებლობა ან ქრონიკულ ჰეპატიტში გადასვლა არ ხდება.

პრევენცია: ჰიგიენური ნორმების დაცვა. რისკის შემთხვევაში შესაძლებელია ვაქცინაცია.

კამპილობაქტერიული ინფექცია

გამომწვევი: გრამ-ნეგატიური ბაქტერია, რომელიც საჭმლის მომწელებელი ტრაქტის სხვადასხვა დაავადებას იწვევს, რომელთაგან უხშირესია გასტროენტერიტი.

სიმპტომები: დიარეა, მოვლითი ხასიათის მუცლის ტკივილი, ცხელება.

დიაგნოზი: გამომწვევის აღმოჩენა განავალში, თუმცა ამ მეთოდს ხშირად არ იყენებენ, რადგანაც პაციენტის გამოჯანმრთელება წინ უსწრებს გამომწვევის იდენტიფიცირებას.

მკურნალობა: უხშირესად ადგილი აქვს სპონტანურ გამოჯანმრთელებას დაახლოებით 1 კვირაში. სისტემური ინფექციის შემთხვევაში საჭირო ხდება ანტიბიოტიკების (ციპროფლოქსაცინის ან აზითრომიცინის) გამოყენება.



მუცლის ტიფი

გამომწვევი: გრამ-ნეგატიური *Salmonella typhi*.

ბაქტერია აღწევს საჭმლის მომნელებელ სისტემაში და გადადის სისხლში. ამას მოსდევს წვრილი და მსხვილი ნაწლავის ანთება, მძიმე შემთხვევებში კი წვრილ ნაწლავში ჩნდება წყლულები.

სიმპტომები: მადის დაკარგვა, ცხელება, თავის ტკივილი, სახსრების ტკივილი, ყაბზობა (ან დიარეა), მუცლის ტკივილი ვითარდება თანდათანობით, ინფიცირებიდან 8-14 დღის განმავლობაში. დაავადების პროგრესირებასთან ერთად ცხელება მატულობს, აღინიშნება ცნობიერების დაბინდვა, ბრადიკარდია. ამ სიმპტომებს მე-2-მე-3 კვირაში შეიძლება თან დაერთოს პნევმოკოკური (ან თვით საღმონელით გამოწვეული) პნევმონია, ქოლევცისტიტი, ჰეპატიტი, ოსტეომიელიტი, ენდოკარდიტი, გლომერულიტი, მენინგიტი.

დიაგნოზი: ბაქტერიის აღმოჩენა სისხლში, განავალში, შარდში ან სხვა ქსოვილებსა და სითხეებში.

პრევენცია: დაავადების გავრცელების ადგილებში არ შეიძლება ბოსტნეულისა და სხვა თერმულად დაუმუშავებელი საკვების მიღება. გამოყენებულ უნდა იქნას ცხელი საკვები და მინერალური (ბოთლის) წყალი.

მკურნალობა: ანტიბიოტიკებით მკურნალობის შემთხვევაში პაციენტთა 99% განიკურნება, თუმცა ეს პროცესი შესაძლოა რამდენიმე თვეს გაგრძელდეს. გამოიყენება ქლორამფენიკოლი, რეზისტენტობის შემთხვევაში კი ტრიმეთოპრიმ-სულფამეტოქსაზოლი ან ციპროფლოქსაცინი.

ქოლერა

გამომწვევი: გრამ-ნეგატიური ბაქტერია *Vibrio cholerae*.

სიმპტომები: დიარეა ინფიცირებიდან 1-3 დღის შემდეგ. დიარეა უმტკივნეულოა, განავალი კი – თხელი. დაავადების სიმძიმე დაკარგული სითხის რაოდენობის პირდაპირპროპორციულია.

მკურნალობა: დაკარგული სითხის რაოდენობის სასწრაფოდ შევსება (ორალურად ან ინტრავენურად), რადგანაც სიკვდილის მიზეზი ხდება არა თავად ბაქტერიული ინფექცია, არამედ დეჰიდრატაცია. ტეტრაციკლინით ადრეულ სტადიაზე მკურნალობის შემთხვევაში ბაქტერიები კვდება და დიარეა წყდება 48 საათის განმავლობაში.



დაბალ სანიტარულ პირობებში გავრცელებული კანის ზოგიერთი დაავადება

მუნო

გამოწვევი: ტკიპა *Sarcoptes scabiei*.

გადაეცემა ადამიანიდან ადამიანს ფიზიკური კონტაქტის დროს. იშვიათად შეიძლება გადაეცეს ტანსაცმლით ან თეთრეულით.

სიმპტომები: ძლიერი ქავილი, განსაკუთრებით ღამით. დაზიანებები უხშირესად აღინიშნება ხელისა და ფეხის თითებს შორის, ხელის მტევანზე, ტერფზე, დუნდულების მიდამოში, და მამაკაცებში – სასქესო ორგანოებზე.

დიაგნოზი: როგორც წესი, საკმარისია გარეგანი დათვალიერება.

მკურნალობა: პერმეთრინის 5%-იანი მაღამო, რომელსაც ისმევენ საღამოს და დილით იბანენ. შესაძლოა საჭირო გახდეს მკურნალობის განმეორება 1 კვირის შემდეგ. მიიმე შემთხვევებში გამოიყენება ივერმექტინი ორალურად, ორჯერადად (1 კვირის შუალედით). წარმატებული მკურნალობის შემდეგაც კი ქავილი რჩება დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში, რაც გამოწვეულია ალერგიული რეაქციით. ქავილის საწინააღმდეგოდ გამოიყენება კორტიკოსტეროიდული მაღამო და ანტიჰისტამინები. აუცილებელია ოჯახის წევრების მკურნალობაც. ასევე აუცილებელია თეთრეულისა და ტანსაცმლის ცხელი წყლით რეცხვა.

ტილი (პედიკულოზი)

არსებობს თავის, ტანსაცმლისა და ბოჭვენის ტილი.

სიმპტომები: ქავილი.

დიაგნოზი: ტილის ან მისი კვერცხების აღმოჩენა კანზე, თმაზე ან ტანსაცმელზე.

მკურნალობა: პირეთრინისა და პიპერონილის ბუტოქსიდის შემცველი შამპუნისა და მაღამოს გამოყენება. ასევე ეფექტურია პერმეთრინი, რომელიც გამოიყენება სითხის ან მაღამოს სახით. ლინდანი (მაღამო, ლოსიონი ან შამპუნი) ასევე ეფექტურია, თუმცა მისი გამოყენება ბავშვებში არაა რეკომენდებული.

საჭიროა მკურნალობის განმეორება 7-10 დღეში, რათა ამ პერიოდში გამოჩეკილი ტილები განადგურდეს.

მედიკამენტის გამოყენების შემდეგ საჭიროა კვერცხების მოშორება წვრილი სავარცხლით. სავარცხელი, ქუდი, ტანსაცმელი და თეთრეული უნდა გაირეცხოს ცხელი წყლით.